

ხალხური უანრების ინტერპრეტაცია იროდიონ ევლოწვილის საყმაწვილო პოეზიაში

მეოცე საუკუნის ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში, საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულების მიხედვით, იროდიონ ევლოწვილის სახელი ძირითადად რევოლუციასთან ასოცირდება. პოეტს ხშირად მოიხსენიებენ ეპითეტებით: „დიდი განთიადის მომღერალი“, „რევოლუციის ტრუბადური“, „პოეტი ტრიბუნი“, „ქართული მარსელიოზას ავტორი“, „მოქალაქეობრივი ლირიკის ფუძემდებელი“ და სხვ. რევოლუციურ წარსულს ნამდვილად ვერ დავუკარგავთ შემოქმედს, თუმცა საგულისხმოა, რომ მისი რევოლუციური ესთეტიკა თავისუფლების იდეასთანაა წილნაყარი, რაც პოეტის შემოქმედებაში მეცხრამეტე საუკუნისათვის ნიშანდობლივი ხალხური სიმბოლიკითაა გაცხადებული: „იფეთქა აღმოსავლეთმა, წითელი დროშა გაშალა, კლდეზე მიჭაჭვულ ამირანს სხივები გადააყარა“. ანლა, როცა რევოლუციურ წარსულთან ერთად ი. ევლოწვილის სახელი თანდათან ფერმკრთალდება, საჭიროდ ვცანით, მისი ცხოვრების გზისა და შემოქმედებითი პალიტრისათვის თვალი გადაგვევლო.

ი. ევლოწვილმა ხანმოკლე, მძიმე და ამასთან საკმაოდ საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. სიღნაღის მაზრის სოფ. ბოდბისხევში გატარებული შედარებით უზრუნველი ბავშვობის შემდეგ, მომავალმა პოეტმა სასულიერო სასწავლებლისა და სემინარიის კედლებიდანვე განიცადა უანდარმერიისაგან დევნა-შევიწროება. გამუდმებით ციხეში გამოკეტვამ, გადასახლებებმა, შიმშილმა და გაჭირვებამ მწერალს ჯანმრთელობა დაუძაბუნა და ტუბერკულიოზით დაავადა, მაგრამ ფიზიკურად ჯანგატეხილმა სულიერი სიმხნევე მაინც შეინარჩუნა. დროდადრო პოლიტიკურ ქარტეხილებს თავდალწეული შემოქმედის არსებაში მემამბონის ფინი და რევოლუციური პათოსი სადღაც ქრებოდა და სულიერებით აღვსილ ფაქიზი გრძნობებისა და გემოვნების პერსონად წარმოგვიდგებოდა. იგი დიდი შინაგანი ხიბლითა და ერთგულებით ემსახურებოდა ქართულ სიტყვას და სამწერლო სივრცეში თავისი წილი ხნული კეთილსინდისიერად გაჭქონდა. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ი. ევლოწვილის საყმაწვილო პოეზია, რომელიც თავისებურად სრულქმნის პოეტის შემოქმედებით პორტრეტს და ხელშესახებს ხლის მის სათუთ და მგრძნობიარე ბუნებას. პოეტის საყმაწვილო ლექსებს დიდაქტიკურ-ესთეტიკური ღირებულება დღემდე არ დაუკარგავს. ვფიქრობთ, ბევრი მათგანი მომავალი თაობებისათვისაც შეინარჩუნებს აღმზრდელობით ფუნქციას. პროფ. შ. გოზალიშვილის თქმით, „ი. ევლოწვილი ბევრს წერდა მოზრდილი და მცირეწლოვანი ბავშვებისათვის, ქმნიდა სიყვარულით აღსავსე მშვენიერ მოთხრობებს, ლექსებს, პოემებსა და ზღაპრებს... გასაგები და კარგი ქართულით დაწერილ ამ ნაწარმოებებს სოციალურ უღერადობასთან ერთად გარკვეული მხატვრული ღირებულება გააჩნია (შ. გოზალიშვილი, 1975, გვ. 8). პოეტმა, ოთხი შვილის მამამ, იცის, რომ ყმაწვილთათვის განკუთვნილ ნაწარმოებებში თითოეული სურათი ბავშვური ფსიქოლოგიის უტყუარი ხედვით უნდა აისახოს, ამიტომ გულახდილად ესაუბრება ნორჩ მკითხველს, ასწავლის მშობლიური გარემოს, ბუნებისა და თანატოლების სიყვარულს.

სალიტერატურო კრიტიკაში მითითებულია, რომ ჟანდარმერიის ხანგრძლივი მეთვალყურეობისა და დევნის პირობების შედეგად ი. ევდოშვილის საყმაწვილო შემოქმედებამ ჩვენამდე სრულყოფილად ვერ მოაღწია, დაკარგულია პოეტის ავტოგრაფების უდიდესი ნაწილი, რის გამოც ბიბლიოგრაფიული ნუსხა პირველი პუბლიკაციებიდან და გ. ლიონიძის სახელობის ლიტერატურული მუზეუმის ფონდიდანაა ამოკრებილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მწერლის საყმაწვილო შემოქმედება ნასაზრდოებია ილიას, აკაკის, რ. ერისთავის, ი. გოგებაშვილის კრიტიკული რეალიზმის ესთეტიკით და გაგრძელებულია მათ მიერ დამკვიდრებული ტრადიციები.

განსაკუთრებულია ი. ევდოშვილის დამოკიდებულება ხალხური საუნჯისადმი. ფიზიკურად ჯანგატეხილი პოეტი სულიერი ოპტიმიზმის გამოსახატავად ზღაპრულ პერსონაჟებს ეტოლება. ერთ-ერთი გადასახლებიდან დაბრუნებული, „ნაკადულის“ რედაქციაში სტუმრად მისული პოეტი ნ. ნაკაშიძეს ვერ უცნია. თვალზე ცრემლმომდგარი რედაქტორისათვის მას ხელები დაუკოცნია და უთქვამს: „მე ახლა ყარამან ყანთელი ვარ... ბაყბაყ დევს მოვერვეი, ყაფის მთას ავწევ, ისე დავიყიჟინებ, რომ ქვეყანამ ზანზარი მიიღოს (ფ. ზანდუკელი, 1974, გვ. 56).

რეალისტური ტენდენციებით განმსჭვალული მწერლის საყმაწვილო შემოქმედების დაუშრეტელი წყაროა ზეპირსიტყვიერება. ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დღემდე მხოლოდ გაკვრითაა მინიშნებული. პოეტი ხშირად მიმართავს ფოლკლორული ეანრების თავისებურ ინტერპრეტაციას, იყენებს საოჯახო-საწესო პოეზიის თემატიკას, პარემიის ნიმუშებს, მოიშველიებს ხალხურ ფრაზებს, გამოთქმებს, მოთხრობებში ჩაურთავს ლექსებს, სიმღერებს, ანდაზებს... ყოველივე ეს შემეცნებით ღირებულებასთან ერთად მომხიბლავ იერს აძლევს თითოეულ ნაწარმოებს. გარდა ამისა, ი. ევდოშვილის საყმაწვილო შემოქმედებაში ქარბად იგრძნობა ფოლკლორული ინტონაციები, გამოყენებულია ხალხური მხატვრული გამომსახველობითი ხერხები, რითმები, რითმიკა...

ი. ევდოშვილმა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ესოდენ პოპულარული ლიტერატურული „ნანინები“, რომელთა ფონი ხალხური „იავნანა“ გახლდათ, ახლებური ინტერპრეტაციით შესთავაზა მკითხველს, რაზედაც სათაურშივეა მინიშნებული - „ახალი ნანინა“. ლექსი ერთგვარ პასუხად ეხმიანება აკაკის იმედიან „იმერულ ნანინას“. მასში პოეტის განწყობილებასთან სულიერი სიახლოვე იგრძნობა, თუმცა ჩანს, რომ ჩავლილმა ათწლეულებმა დაადასტურა წარუმატებლობა საგლეხო რეფორმისა, რომელმაც ყმა-გლეხი მხოლოდ ფიქტიურად გაათავისუფლა. მძიმე უღლისაგან ვითომდა თავდაღწეულს, ახალი მჩაგვრელები მოევლინა.

„ახალი ნანინას“ სტრუქტურა კლასიკური ხალხური ლექსის ფორმითაა წარმოდგენილი. 8 მარცვლიანი, 4 სტრიქონიანი სტროფები ხალხური რეფრენების თანხლებით მინორული განწყობილებით გადმოგვცემს ღრმა სოციალურ პრობლემებს. ცნობილია, რომ „იავნანას“ ხალხურ ტექსტებში რეფრენები გამოიყენება კონკრეტული რითმულ-მუსიკალური და აზრობრივი დანიშნულებით. ეს რეფრენები ამავე ღროს სტროფებს ერთმანეთთან აკავშირებს. ანალოგიური ფუნქციით იყენებს მას ი. ევდოშვილი. პოეტი აღწერს იმ მძიმე ყოფას, რაც შედეგად მოჰყვა რუსთა კოლონიურ-დამპყრობლურ პოლიტიკას. ნაჩვენებია,

როგორ არბევდნენ და აწიოკებდნენ მშრომელთა ოჯახებს, ართმევდნენ სარჩოსაბადებელს, ურღვევდნენ კერიას, სცემდნენ მათრაბებით, არ ერიდებოდნენ სისხლისღვრას... თვალნათლივ ჩანს, რომ პოეტი საბავშვო ლექსშიც კი კრიტიკული რეალიზმის მიმდევრად რჩება და არ ცდილობს, ოდნავ მაინც შეაფერადოს ცხოვრების მკაცრი რეალობა, ის მძიმე სოციალური პროცესები, რის შესაცვლელად თავგამოდებით იღვწოდა. ამ კუთხით იგი ისტორიული პროცესების ახლებური ხედვით წარმოჩინდება, რაც პირველივე სტრიქონებში ცნაურდება: „იავნანა, ვარდონანა, იავნანინაო, კარგად ვიცი, ჩემო კარგო, ვინც შეგაშინაო, ყაზახების მათრაბებმა ჩვენც დაგვიფრინაო, ტყეში თოვლზე გირწევ აკვანს, იავნანინაო! რა გაჭამო, ჩემო კარგო, ძუძუ დამიდნაო, რაც გვებადა, მათ წაიღეს, აგვიკლეს ბინაო!“

„ნანინას“ ჰანგის სვედიანი კილოთი დედა უმღერის შვილს ოჯახის ტრაგიკულ თავგადასავალს: მამამისს ყაზახების მათრაბებმა სისხლი აღინა, უფროსმა ძმამ მათი ხმლის ქვეშ ამოიგმინა, უფროს დას კი ნამუსი აჰხადეს, კერია მოგვიშალეს და „გაგებადეს მეზობელი ტყის ნადირისაო“. მისი ცხელი ცრემლები თოვლზე იბნევა, მაგრამ საშველი არსაიდან არ არის. დედა სთხოვს შვილს, მათი ოჯახის უბედურება კარგად დაიხსომოს და როცა გაიზრდება, იქნებ ბედმა გაუღიმოს და მწარე მოგონებებით აღგზნებული მტრისაკენ დაიძრას. „მანამდე კი იავნანა, ვარდონანინაო“. ლექსის უკანასკნელ სტრიქონებში ჩაქსოვილია რიტორიკა. დედას სჯერა, რომ მშრომელთა სვე-ბედი მომავალში სხვაგვარად შეიცვლება: „იავნანა, ვარდო ნანა, დაგძახის ქარიო, მწამს, რომ, შვილო, დაიქროლებს სულ სხვა ნიაფიო! ის იქნება განთიადის წინამორბედიო! ჩვენ ტანჯულთაც გაგვიღიმებს ერთხელ სვე-ბედიო.“ ლექსი სადესა წუხილით, ცრემლითა და ვაებით, ყოველი ტაეპიდან დარდი და ნალველი შრედინება. ლირიკული გმირი ცდილობს, თავისი სვედა ბავშვამდე მიიტანოს და ერთგვარად გული მოიოხოს. პოეტურ ქმნილებას გარკვეულ ხიბლს სძენს მომავლის იმედი. ამ შემთხვევაში მგონის მიერ ხალხური ლექსის კლასიკური ფორმის გამოყენებით გადმოცემულია სოციალური თემატიკა, რაც ეპოქის სპეციფიკითაა მოტივირებული. ი. ვედოშვილი მოუწოდებს ნორჩ მკითხველს, რომ უკეთესი მომავლისათვის საჭიროა დაუნდობელი ბრძოლა.

უნდა აღინიშნოს, რომ ლექსის პირველი ორი სტროფი განხალხურებულია. ქართული ხალხური პოეზიის სრული კორპუსის მე-8 ტომში დასტამებულია სოფ. ერთაწმინდაში 1961 წელს ვ. ლავრელაშვილის მიერ მთქმელ ზ. მენუქიშვილისაგან ჩაწერილი ორი ვარიანტი (ნ. ნაკაშიძე, 1956, გვ. 118, 348), რომლებიც ძალიან მცირედ განსხვავდებიან როგორც ერთმანეთისაგან, ასევე ლიტერატურული ტექსტისაგან.

ლექსი „აკვანთან“ „ახალი ნანინას“ ერთგვარი ვარიანტია. მართალია, მასში ხალხური რეფრენები არ გვხვდება, მაგრამ „იავნანას“ კილო, ინტონაცია, რითმა, რითმიკა ხალხურ ხმეერებასთან აახლოობს: „გაიცინე პაწაწინავ, გაახარე ნორჩი გული, დედის მკერდზე ააფეთქე მშობლიური სიყვარული!“ სოციალური ჰარმონიის მომხრე პოეტისათვის ძალიან მძიმეა იმ ყოფის აღწერა, რომელშიაც გლეხთა შვილები იზრდებიან, თუმცა არც დაფარვა ეგების. დედამ იცის, რომ მისი შვილი ტანჯვა-შრომის მძიმე უფსკრულში უნდა ჩაეშვას, ამიტომ ცდილობს, აკვანში მყოფს კეთილგანწყობა და მშობლიური სიტბო არ მოაკლოს. ნაწარმოებში ემოციური მუხტის გასაძლიერებლად გამოყენებულია

ხალხური მიმართვები: „ვარდო დედისაო,“ „მზის სხივებზე გასაშლელი“, „გაზაფხულის მოციქული“ და სხვ.

ი. ვედოშვილის ლექსები: „ყვავილების ბაასი“, „ჩურჩხელების ჩხუბი“, „სოსო და მერცხალი“ და სხვ. უძველესი ფოლკლორული ენარის — გაბაასების კანონებს ექვემდებარება და ძირითადად შემეცნებითი დანიშნულებითაა შეთხზული. უზვადაა გამოყენებული გაბაასებისათვის ნიშანდობლივი ხოტბაქების ელემენტები. ზღაპრული ანთროპომორფიზმის მხატვრული ხერხის გამოყენებით თითოეული პერსონაჟი გამოდის მონოლოგით და მკითხველს აცნობს საკუთარ ავ-კარგს. ია, ენძელა, ზამბახი იღვწიან, რათა არა საკუთარი, არამედ ვარდის - ყვავილთ მეფის უპირატესობა დაამტკიცონ. შემდეგ ბაასში ჭეჭილი ერთგება, წარმოაჩენს იმ ჭაფასა და ღვაწლს, რასაც მის მოსაყვანად მიწის მუშა ეწევა. ბურის გარეშე ხომ ადამიანთა არსებობა შეუძლებელია, ამიტომ ჭეჭილს შეუძლია დატკბეს ყვავილთა სილამაზით, აქოს ისინი: „დეე ვარდი მეფე იყოს და ენძელა მიწას სწოვდეს, იამ თვალი აფუქუნოს, ზამბახი კი ლოცულობდეს.“ მაგრამ მისთვის გლეხკაცია მასულდგმულებელი, ამიტომ თავის მაგიერ მის მარჯვენას აქებს: „ჩემი მეფე გლეხი არი, იმას ვეტრფი ერთადერთსა, გაუმარჯოს მის მარჯვენას, გაუმარჯოს მხენელ-მთესველსა!“ ჭეჭილის მონოლოგით ბჭობა წყდება. მას ყველა ეთანხმება, ირგვლივ მოსავლის წარმართული ღვთაების „ოროველას“ ჰანგი გაისმის. ამ შემთხვევაში ხალხური პაექრობის ფორმა გამოყენებულია დიდაქტიკური მიზნით, როგორც მხატვრული ხერხი, რათა შთააგონოს ყმაწვილებს, რომ „ბური ჩვენი არსობისა“, რომლის მოსაყვანად ქართველთა წინაპრები ოდითგანვე ოფლს ღვრიდნენ, გამორჩეულია.

ლექსში „ჩურჩხელების ჩხუბი“ სათაურშივეა მითითებული, რომ პაექრობა საკმაოდ მწვავე იქნება. პერსონიფიცირებულ მხატვრულ სახეებად წარმოდგენილია ჩვენებური ნუგზარის სამი სახეობა: „ნიგვზიაური“, „ყურძნიაური“ და „თხილა“. მათ პაექრობაში აშკარადაა გამოკვეთილი ხალხური გაბაასებისათვის ნიშანდობლივი უპირატესობისათვის ბრძოლა, საკუთარი თავის ქება და სხვისი დამცირება. პირველი, „ნიგვზიაური“ სიამაყით აცხადებს: „ვინ მეცილება შაქრობას, ვინ არის ჩემი ტოლიო.“ მის ტრაბახს „ყურძნიაური“ ეპასუხება, რომ მასთან შედარებით გამზმარ, უგემურ ჩირადაც არ ღირს. დიალოგში „თხილა“ ჩაება და თავმომწონედ მოითხოვა, რომ ბაქიობას თავი დაანებონ და ილამ განსაჯოს, რომელია მათ შორის მართალი. ამ შემთხვევაში პაექრობის ხასიათმა განაპირობა კამათში მონაწილე მეოთხე პერსონაჟის ობიექტურობის აუცილებლობა. მართლაც, ილამ სამივე მათგანი შეაქო: „ნიგოზავ, მე შენ კი გენაცვალე, შენც კარგი რამ ხარ, თხილუნავ, ყურძნისავ, გშვენის ხალები...“ ყმაწვილმა უპირატესობა „ნიგვზიაურს“ მიანიჭა და პირველად მისით ჩაიტკბარუნა პირი, შემდეგ „თხილუნა“ მიაყოლა, ბოლოს კი „ყურძნიაური“ ჩაკბიჩა და აურზაურიც შეწყდა. აღნიშნული ლექსით ი. ვედოშვილმა ახალი თემატიკით გაამდიდრა ლიტერატურულ გაბაასებათა ციკლი.

ხალხური საშობაო სიმღერის ვარირებაა ლექსი „ალილო“, რომელშიაც აღწერილია ტრადიციული საშობაო მსვლელობა კალათებით, ხურჩინით, იფნის კომბლით, სიმღერითა და ლიტანიობით: „ქრისტეშობაა, ალილო, ალილო, ბიჭო გელაო! ქრისტეშობაა ოცდახუთს, ამ თვესა ხარობს ყველაო; ჩვენც შემოვძახოთ ერთადა, ალილო, ბიჭო გელაო!“ აღნიშნული ლექსი ყმაწვილებს ქრისტიანული ტრადიციების შენარჩუნებაში ეხმარება.

ი. ევლოშვილის საყმაწვილო პოეზიაში ხალხურის მსგავსი შთამბეჭდაობითაა წარმოჩენილი წლის დროთა მონაცვლეობის თემატიკა, რომლის უძველესი ნიმუშები მითოპოეზიაში ფიქსირდება და რომელსაც საბავშვო მწერლობაში რ. ერისთავმა დაუდო სათავე. გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომისა და ზამთრის თითოეული სურათის დინამიკა მკითხველისათვის მარტივად, მაგრამ ამავდროულად მაღალმხატვრული ენით, დახვეწილი პოეტური გემოვნებითაა მიწოდებული: „ჯეჯილმა ამოიწია, გადგა ბორჯი და ძირია, იამ მოქარგა მინდორი, სჩანს გაზაფხულის პირია“. ზაფხულის პეისაჟს პოეტი პეროიკული შრომის პათოსით წარმოაჩენს. მწიფე ყანებში „ქრისტეს თვალი“ ტრიალებს“, კვლებში ჩამდგარი მთიბავეები მღერიან: „ცელო, მოუსვი ბალახსა, დავსდგათ თივების ძირია“, კალოზე კი „ოროველას“ ზუზუნნი გაიჰმის. წმინდა ფოლკლორული გარემოს აღწერას დამაჯერებლობას სძენს ხალხური შრომის ლექსებიდან მოხმობილი ტაეების, ცალკეული ფრაზების, მიმართვის ფორმების ჩართვა.

დასასრულს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ხალხური საუნჯით ნასაზრდოებ ი. ევლოშვილის საყმაწვილო პოეზიას დიდაქტიკურ-ესთეტიკური ღირებულება დღემდე არ დაუკარგავს. ვფიქრობთ, ის მომავალშიც შეინარჩუნებს აღმზრდელობით ფუნქციას და კვლავ იქნება მომავალი თაობების სულიერ საზრდო.

ლიტერატურა

- შ. გოზალიშვილი, 1975 - შ. გოზალიშვილი, იროდიონ ევლოშვილი, თბ., 1975.
- ფ. ზანდუკელი, 1974 - ფ. ზანდუკელი, ფოლკლორი და ქართველი საბავშვო მწერლები, თბ., 1974.
- ნ. ნაკაშიძე, 1956 - ნ. ნაკაშიძე, მოგონებები, თბ., 1956.
- ე. ქარელიშვილი, 1985 - ე. ქარელიშვილი, იროდიონ ევლოშვილი, თბ., 1985.
- პოეზია, 1979 - ქართული ხალხური პოეზია, ტ VIII, თბ., 1979.

KETEVAN DEKANOZISHVILI**THE INTERPRETATION OF FOLK GENRES IN EVDOSHVILI'S
CHILDREN'S POETRY**

In the 20th century literary criticism Irodion Evdoshili is mentioned as a poet admiring revolution, but it must be taken into consideration that his revolutionary aesthetics is impregnated with the aspiration for freedom. The poet is the faithful defender of the Georgian language and created interesting works. Evdoshvili's infant poetry is especially impressive, which is provided with the Georgian National folklore.

In his poems Evdoshvili often applies the interpretations of folk genre; he also applies the patterns of the ménage-sacral poetry, songs, proverbs, separate phrases and expressions. He also uses folk intonations, rhythm and rhythmic. Especially he creates frequently the new poems by using the structure of the genre of *Nanina* and *Gabaaseba* and utilizes the themes of seasons alternation and also the patterns of the Labour poetry. In the children's poetry Evdoshvili still remains a follower of the critical realism and he doesn't try to prettify the realistic picture of the contemporary life and hard social conditions for the change of which he struggled all his life.

Together with his fiction Evdoshili's works has the didactic value. It will also preserve the spiritual value for the future generation.